საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარსაგიშვილი ლუიზა ალექსანდრეს ასული

მარსაგიშვილი ლუიზა ალექსანდრეს ასული (დ. 29. VI. 1942 თბილისი), ექიმი. მედ. მეცნ. დოქტორი (1990), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1989). 1965 დაამთავრა თსსი. 1965–66 მუშაობდა რენტგენოლოგად დაბა კოჩუბეის (დაღესტანი) მედსანნაწილში; 1966–76 იყო თბილ. ექიმთა დახელოვნების სახელმწ. ინ-ტის გულმკერდის ქირურგიის საპრობლემო ლაბორ. უმც. მეცნ. მუშაკი; 1976–98 – მუშაობდა ექსპერ. და კლინ. თერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში; 1998–2000 – საქართვ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის სამინისტროს ინვალიდთა დეპარტამენტის ლაზერული მედ. სამეცნ.-პრაქტ. ცენტრის (შემდგომ – შპს სამედ. ცენტრი „ლაზერი“) დირექტორი, 1999-იდან – საქართვ. სახელმწ. სამედ. აკადემიის ლაზერული მედიცინის კათედრის გამგე; 2006-იდან დღემდე ხელმძღვანელობს „ჯანმრთელობის ცენტრის“ ლაზერული მედიცინის მიმართულებას.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ეხება ანესთეზიოლოგიის, კარდიოლოგიისა და ლაზეროთერაპიის აქტუალურ პრობლემებს.

მ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (2002).

თხზ.: ლაზერმოდიფიცირებული მედიცინა (დაბალინტენსიური ლაზერო-თერაპია), თბ., 2017; ლაზერმოდიფიცირებული გასტროენტეროლოგია, თბ., 2017.